სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
16.12.2010 N 167
თბილისი

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, სტუ-ს "მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების, აკადემიური საბჭოს 2010 წლის 15 დეკემბრის № 362 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2010 წლის 17 დეკემბრიდან დაიწყოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების პროცესი;
2. არჩევნები ჩატარდეს სტუ-ს "მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების შესაბამისად;
3. კანდიდატებმა განცხადება შეიტანონ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში, თან უნდა დაერთოს პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა დაკავებული თანამდებობის შესახებ, სამოქმედო გეგმა, ინფორმაცია განათლების, შრომითი გამოცდილების, აკადემიური ხარისხის თაობაზე;
4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს მიმდინარე წლის 28 დეკემბერს და გაგრძელდეს 2011 წლის 6 იანვრის ჩათვლით. არჩევნები აკადემიურ საბჭოში გაიმართოს 2011 წლის 17 იანვარს;
5. არჩეული კანდიდატურა წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინოს არაუგვიანეს 2011 წლის 20 იანვრისა;
6. წარმომადგენლობით საბჭოში არჩევნები ჩატარდეს არაუგვიანეს 2011 წლის 25 იანვრისა;
7. არჩევნების შედეგები გამოიკრას არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
9. განცხადება არჩევნების შესახებ გამოქვეყნდეს ბეჭდვითი მედიის ორგანოში (გაზეთ "24 საათში").
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ბ. მაისურაძე